შ.პ.ს. "კონსტუდიო"

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვარკეთილი ი. სუხიშვილის ქ. №7-ში
(ს/კ 01.19.39.029.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი
სახლის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2019

წინა პირობები:

შპს "ბრაუნი"-ს დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია ქ. თბილისში, ვარკეთილი, ი. სუხიშვილის ქ. №7-ში (ს/კ 01.19.39.029.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. შპს „ახალი საქქალამშენპროექტი"-ს მიერ 2018 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები;
2. შპს "სახლი.ჯი"-ის მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის პროექტის ვექტორული ფაილი.
3. შპს "სახლი.ჯი"-ის მიერ "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით მოდელირებული შენობის გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს "სახლი.ჯი"-ის მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

განიხილება კონსტრუქციულად დამოუკიდებელი ორი 12 სართულიანი შენობა, რომლებსაც მიწისქვეშ აერთიანებთ ერთი დონე – ასევე კონსტრუქციულად დამოუკიდებელი ავტოფარეხი.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

ორივე 12 სართულიანი შენობა კონსტრუქციული სტრუქტურით პრინციპულად ერთნაირია - უმნიშვნელო არქიტექტურული სახის სხვაობით. შენობების საძირკვლებად მიღებულია 90 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი საძირკვლის ფილები. მათი დაფუძნება ხდება მსხვილნატეხოვან (კენჭნაროვან) გრუნტებზე ძირითადი საანგარიშო მახასიათებლებით: $\varphi=38^0$; c=1 კპა; E=50 მპა.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (400X700, 400X400), დიაფრაგმების (b=200), კოჭების (400X550h, 200X550) და გადახურვის ფილების (h=180) კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემით.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B25. სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია პროგრამული კომპლექსის "მონომახ-საპრ 2013"-ის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.

ნახაზების სახით მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშებები შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ჩვენს მიერ, პროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს, მიიღეს და ასახეს მუშა დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში.

დასკვნა:

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა რეალიზაციისთვის.

ექსპერტი,
მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს „კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ ხელმოწერა წოწერია



თბილისი,
22-10-2019